საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N2591 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 ოქტომბრის №1951 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, შეტანილ იქნეს ცვლილება „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 ოქტომბრის №1951 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიმდინარე წელს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების, სამშენებლო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვისათვის მუნიციპალიტეტებს გამოუყოს არა უმეტეს 2 568 000 (ორი მილიონ ხუთას სამოცდარვა ათასი) ლარისა, კერძოდ:

ა) სენაკის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 588 000 (ხუთას ოთხმოცდარვა ათასი) ლარისა;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 318 000 (სამას თვრამეტი ათასი) ლარისა;

გ) აბაშის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 700 000 (შვიდასი ათასი) ლარისა;

დ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 395 000 (სამას ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

ე) თელავის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 567 000 (ხუთას სამოცდაშვიდი ათასი) ლარისა.“.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**